

# სოციალ-დემოკრატიული

ქართული  
რევოლუციური

მუთანი,  
ოთხშაბათი, 21 დეკემბერი  
1905

# ფურცელი

რუსეთის სოციალ-დემ. მუშათა პარტია.  
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 7.

ყოველ-ღლიური გაზეთი.

№ 7.

## რუსეთის რევოლუციონარი

### და დასავლეთი ევროპა.

კაპიტალისტურმა წარმოებამ მთელი დედამიწა ერთ დიდ ქარხანათ გადაქცია და ამ ქარხანაში ყველა სახელმწიფოთა ბედ-იღბალი იმგვანათ იყრის ერთათ თავს, რომ შეუძლებელია, რაიმე ცვლილება მოხდეს ერთ სახელმწიფოში ისე, რომ ამან მათ დანარჩენებზე გავლენა არ იქონიოს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს რუსეთის დღევანდელი დიდებული რევოლუცია. საუკუნოებისა რომ ცოცხლობდეს, მკითხველო, ადამიანი, საუკუნთებით ისევე ქრებოდა მარადისობის უფსკრულში როგორც ერთი დღე და ბოლოს მაინც სიკვდილია წინ; ამიტომ ასწლოვან უღიმამო, მდორე, მძოვრათ ცხარეობას, ერთი წლის ადამიანურათ სიცოცხლე ჯობია. საფლავის კარსა და ჩვენს შუა რამოდენიმე თვის მანძილი რომ იყოს მხოლოდ დარჩენილი, ჩვენ მაინც გულწრფელათ და მტკიცე ხმით შემოვძახებთ, რომ ბედნიერები ვართ, რომ ეს რამოდენიმე თვე სხვა დროის მთელ საუკუნეს ჯობია. ყოველ დღეს, ყოველ საათს, ყოველ წამს მოაქვს ჩვენთვის ახალ-ახალი ფიქრები, ახალი გრძობანი, ახალი მისწრაფებანი; ყოველ წამს ვგრძობთ ჩვენში სიცოცხლის ძალას, ცხოვრების სიყვარულს, არსებობის ბედნიერებას, მოქმედების წყურვილს, აღფრთოვანების, გატაცების ნეტარებას, — ერთი საათის განმავლობაში ჩვენ განვიცდით მას, რასაც სხვა დროს მთელი ჩვენი სიცოცხლე ვერ განვიცდიდით. ყოველივე ეს მოახდინა რევოლუციამ.

ჩვენი ნეტარება მით უფრო ძლიერია, რომ რუსეთის რევოლუციის წინ მიუძღვიან ტანჯულები, დაჩაგრულები, გაყვლიფილები, დამონებულები; შრომის ოფლში გაწურულებმა და ხელებ დაკარგებულმა პროლეტარიატმა დაამხო უსამართლობის, ძალმომრეობისა და დესპოტიზმის ტახტი, რუსეთის პროლეტარიატს ხვდა წილათ უდიდესი საქმე თვითმპყრობელობის კერპის დასხვრევისა, რუსეთის პროლეტარიატს ბედმა არგუნა უწმინდესი მოწოდება დამონებული ხალხის გან-

თავისუფლებისა. რუსეთის პროლეტარიატი ბრძოლის ელზე ერთი არ არის; პროლეტარიატს სამშობლო არ გაჩნია: მისი სამშობლო ყველგან არის, სადაც კი მასავით ტანჯული და დაჩაგრულია და რადგანაც ტანჯულებითა და დაჩაგრულებით მთელი დედამიწა სასესა, ამიტომ პროლეტარიატის სამშობლო მთელი დედამიწაა. პროლეტარიატს მეგობარი და ამხანაგი ურიცხვი ყავს. მთელი დედამიწის პროლეტარიატი ამხანაგური გრძობითა და კავშირით შეკრული არის, — პროლეტარიატი საერთაშორისოა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთის პროლეტარიატის გამორული მოწოდება ევროპის პროლეტარიატსაც ფეხზე დააყენებდა, რუსეთის პროლეტარიატის რევოლუცია ევროპის პროლეტარიატსაც მიმართავდა რევოლუციის გზაზე და ეს ასეც მოხდა, — მთელი ევროპის პროლეტარიატი ახმაურდა, ამხედრდა, იარაღს ისხამა, ძაღლონეს იკრეფავს და სარევოლუციოთ ემზადება. ავსტრიის პროლეტარიატმა უკვე დაიწყო ბრძოლა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი ფარული კენჭის ყრით საარჩევნო უფლებების მოპოებისათვის; მას ბანს აძლევს გერმანიისა და საფრანგეთის პროლეტარიატი. ამგვარათ რუსეთის პროლეტარიატი მთელ ევროპის პროლეტარიატს წინ მიუძღვის და ასწავლის, თუ როგორ უნდა ბრძოლა პროლეტარული მიზნის განხორციელებისათვის. ის, რაც ევროპის პროლეტარიატს შეუძლებელი ეგონა, რუსეთის პროლეტარიატმა შესაძლებლათ გახადა: თუ ევროპის ამხანაგებს შეუძლებლათ მიანიათ საერთო გაფიცვა, რუსეთის პროლეტარიატმა საერთო გაფიცვებით ძირი გამოუთხარა თვითმპყრობელობას და ამით ერთის მხრით დაუმტკიცა ევროპის ამხანაგებს, თუ რამდენათ შეგნებული და სოლიდარობით განმტკიცებულია ის, მეორე მხრით დანახვა მათ, თუ რა მძლავრი იარაღია პროლეტარიატის ხელში საერთო გაფიცვა. საფრანგეთის ფოსტატელეგრაფის მოხელენი უკვე აპირებენ გაფიცვას, მის მაგალითს მიხედვენ პირველი საჭიროებისათვის სხვებიც, რადგანაც პარტამ ყველგან მიიღო საერთო გაფიცვა ერთერთ

მძლავრ იარაღათ ბურჟუაზულ მთავრობასთან ბრძოლისათვის. ნუ შეშინდებით, ამხანაგებო, გამხნედით, გაჯედით, გასალკლდედით და საერთო გუგუნით მტკიცეთ და მედგრათ გასწით წინ: ევროპის ამხანაგები ჩვენსკენ მოდიან, ამგვარათ ის რევოლუცია, რომელიც რუსეთში პროლეტარიატმა დაიწყო. მთელ ევროპას მოედო, ამგვარი საერთო რევოლუცია ჯერ კაცობრობას არ უნახავს. ის ქარიშხალი, რომელიც რუსეთში პროლეტარიატმა დაატრიალა, ევროპაში იწვევს ტალღებს სოციალისტური რევოლუციისას; და თუ ევროპის რომელიმე სახელმწიფოში სოციალისტურმა რევოლუციამ ფეხი მოიმარა, მას მხარს დაუჭერს დასავლეთ ევროპის მთელი პროლეტარიატი და იქ გაძლიერებული სოციალური რევოლუცია, რუსეთშიაც გამოიწვევს შემდეგ სოციალურ რევოლუციას. შეუწყვეტელი რევოლუციის ჯაჭვით მთელი ევროპა შეიკრა: მთელი ევროპის კერპებს, მტარვალებს და მყვლეფავებს დამსხვრევა და განადგურება მოეღის. ევროპის პროლეტარიატმა წარდგინა მოაკლინა, რომელმაც უნდა გაწმინდოს ქვეყანა ყველა მტარვალთაგან.

რუსეთის პროლეტარიატმა სამარე გაუთხარა თვითმპყრობელობას; მის სიმღერას ბანს აძლევს ევროპის პროლეტარიატი, რომელიც სამარეს უმზადებს ბურჟუაზიას ბურჟუაზულ წყობილებას; და, თუ ევროპის პროლეტარიატმა გაიმარჯვა, მაშინ რუსეთის პროლეტარიატი მძლავრათ შეირყვება კედელს, თვითმპყრობელობის გვერდით მიბარებს სამარეს რუსეთის ბურჟუაზიასაც და ამგვარათ მთელს ევროპაში გამეფდება სოციალიზმი.

მაგრამ სოციალიზმს ბევრი მტერი ყავს და ამ მტრებმაც თავი წამოყვეს. რუსეთის პროლეტარიატმა მარტო რუსეთის თვითმპყრობელობას კი არ დასცა თავხარი, მან საკონებელში ჩააგდო მთელი ევროპის ბურჟუაზია და ბურჟუაზული მთავრობა. რამდენათაც უფრო მედგრათ იბრძვის რუსეთის პროლეტარიატი, იმდენათ უფრო უფრო დება მის ბრძოლას მთელი ევროპის პროლეტარიატი და ევროპის რეაქციონერებს მეტი გზა აღარ დარჩენიათ, რომ რუსეთის რეაქცია გაამაგრონ. რუსეთის თვითმპყრო-

ბელობის დამქაშებს მხარი დაუჭირონ. დღეიდან მთელი ევროპა ორ დიდ ბანაკათ იყოფა: ერთ მხარეზე თავს იყრის ევროპის პროლეტარიატი არსებული წყობილების დასამსხვრევათ, მეორე მხარეზე გროვდებიან რეაქციონერები პროლეტარიატის დასამარცხებლათ. ვინ გაიმარჯვებს ამ საქვეყნო ბრძოლაში? ვის შერჩება დროშა ძლევამოსილებისა ამ საერთო რევოლუციაში? მხოლოდ პროლეტარიატს, რადგანაც ისტორიულმა აუცილებლობამ პროლეტარიატი წარმოშობა და გააძლიერა ცარცაყვლეფის რეჟიმის გასანადგურებლათ და შრომის განაწილების ახალი ორგანიზაციის შემოსადებათ. ამგვარათ რეაქცია მარტო რუსეთში კი არ იკრებს უკანასკნელ ძაღლონეს, მან ევროპაშიაც წამოყო თავი, საერთაშორისო პროლეტარიატის წინააღმდეგ, ამის მაგალიტები უკვე სჩანან. როდესაც პოლონეთმა ავტონომია მოითხოვა, გერმანიის იუნკრებსა და ბურჟუებს თავხარი დაეცათ: ჩვენი პოლონეთიც გამოგვეცლება ხელიდან და ვილჰელმმა ხიშტები ამართა სამშობლოს ინტერესების დასაცველათ! გერმანიის რეაქციას რომ მხარი არ მიეცა რუსეთის თვითმპყრობელობისათვის, ექვი არ არის, პოლონეთიც ისე გაიტანდა თავის მიზანს, როგორც ეს ფინლანდიამ გაიტანა.

რეაქცია მთელს ევროპაში იწყება, რეაქცია უკანასკნელ ძაღლონეს იკრეფავს, მაგრამ საერთაშორისო პროლეტარიატს რეაქციისა არ ეშინია: მისი მაგარი მკლავი შეუჩერებლათ სჭედავს კაცობრიობის თავისუფლებას, ის რევოლუციით ანგრევს ძველ ევროპას და ნანგრევებზე აშენებს ახალს. რუსეთის პროლეტარიატმა თავისი მედგარი ბრძოლით გაამხნევა და ფეხზე დააყენა საერთაშორისო პროლეტარიატი და ამით მარტო რუსეთის თვითმპყრობელობას კი არ მოუღო ბოლო, მთელი ევროპის ბურჟუაზულ რეჟიმს სასიკვდილო მახვილი გაუღესა.

ავ. გამბათედა.

პ ა რ ტ ი ი ლ ა ნ .

როგორც ვაიგეთ, გურიაში გუშინ გაიხსნა კონფერენცია ადგილობრივი მოპუშავე ამხანაგებისა. საგანია თანამედროვე კითხვების გარკვევა და შემუშავება სახელმძღვანელო ტაქტიკურ ღირებულებების.

ქუთაისის კომპეტემა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტემა აარჩია საერთო საორგანიზაციო კომისია, რომელსაც დაეკალა შეიმუშავოს პირობები ორი ფრაქციის სრული შეერთებისა, რაც გადაწყვეტილი იყო სამი დღის წინათ.

ახალი ამბები.

ომის გათავებამდე თვითმპყრობელობა შეუჩერებლათ აგზავნიდა ჯარებს მანჯურის სასაკლაოზე. ომში წასული აფიცრების ოჯახებს აქ აძლევდნენ ქმრების ჯამაგირებს, მაგრამ ახლა, როგორც ვაიგეთ, ამ დეკემბრიდან უკვე მოუსპიათ ჯამაგირების მიცემა მათთვის და საშინელ მდგომარებაში არიან ჩავარდნილი მანჯურის გზირების ოჯახები. ამნაირი ოჯახები ქუთაისში ორმოცამდე ყოფილა. კარგი საჩუქარია ამ საშობოთ.

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

მუშის სიმღერა.

ბრძალეთ, სასხლის ღვრით ვაბოკე მხალათ უფლებს სიტყვისა!..

ქნა გაჯლესე, გაჯბასრე, გაჯაპირმასხე მტრისთკისა!..

სიტყვას, ვით მგესლი ისარა, სასხლით მთარაღს გტყორცნე გუღშის; უხვათ დაუშხმე ნაკლად; ჭირი გაუხნდა წელუღშისა!..

სხობა სკავის ხსენება, როგორც შედ-თავა გველის; წითლათ ფრიალებს ჭკურში ღრმა ტანჯულთა მხსნელისა!..

ზედ აწერა დეკიზი, საშვილიშვილათ ქრეული; „ძმობა, ერთობა ყოველისა,“ გზა სხნეტრო, რჩეული!..

ხმა იდუმალი ჩამხის: „აჭა — ნამდელი კვადიო? შენ ეს მიგიყვანს იქ, სადაც კითხვებს იდეალია“!..

გუშინ ქალაქის მილიციონერებმა მიმართეს ქალაქის კომისიას და მოთხოვეს ჯამაგირები. დღესასწაულები კაზხა მომდგარი და ჩვენ გროში არა ვვაქვს აუცილებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლათ მილიციონერები თხოულობენ ცოტა ზანც მოგვეცით ჯერ-ჯეროვითო. მათი მოთხოვნა სამართლიანია და საჭიროა მალე შეგროვდეს მილიციონისთვის საჭირო ფული მცხოვრებლებისაგან.

როგორც ვაიგეთ კომისია უკვე შედგომია ფულების შეგროვებას მილიციონისთვის და რამდენიმე უკვე შეუგროვებიათ. ფული გადახდა ჯანჯლობენ ყველაზე უფრო „გლასსიბა“.

„სხივის“ რედაქციას თავისი გამოცემა მე № 9-დან შეუჩერებია გაფიცვის გამო.

თოფურისაყულ საავათმყოფოში, სადაც შამოსავალმა ძრიელ იკლო და ქალაქი ველარაფერ დახმარებას უწევს მას, ამ ბოლო დროს მოსამსახურეების შემოკლება შეიქმნა საჭიროთ. ესენი კი გინდათ თუ არა აიძულებენ საავათმყოფოს ადმინისტრაციას დაგეტოვეთ, არავინ დაითხოვთ. ერთ მათგანი რდენათ გაკადნიერებულა, რომ საავათმყოფოს ოთახებში მინები მიუღწე-მოუღწეწით დანაჩენებსაც აქეზებს არ წახვიდეთო.

არ ვიცით სწორეთ რა აინტე-

რსებთ აქაურ მოსამსახურებს ცარიელ კასის გარშემო ტრიალი და მოთხოვნა იმისი, რის შესრულება შეუძლებელია საავათმყოფოს ახლანდელ მდგომარებაში.

ს. ჭოგნარში 18 დეკ. ვაიმართა მიტინგი, რომელზედაც 300 კაცი და ქალი დაესწრა. წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. მიიღეს რამდენიმე პოლიტიკური ხასიათის რეზოლუცია და სხვათა შორის მოითხოვეს ქუთაისიდან კაზაკების გაყვანა. დასასრულ გამოუცხადეს ბ. სტაროსელსკის მადლობა ამ არეულობის დროს მშვიდობიანური მოქმედებისათვის.

გუშინ ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცულმა მოხლებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის თვითმართველობას მიცენ მათ ნება ნოემბერში ბარაკებშითვის დაწყებული ტელეფონების აღდგენა, რასაკვირველია, შესაფერის სასყიდლით. ქალაქის თვითმართველობამ მოითხოვა გარანტია, რომ მომავალში ტელეფონი ამ საქმისათვის არ იქნება დაწყებული. ახლათ შემდგარი შეერთებული ორგანიზაციების სამხედრო ტექნიკური კომისია, რომელსაც ამგვარი საქმეების მოწესრიგება აქვს მინდობილი, უეჭველია, მიიღებს სახეში ქალაქის გაჭირვებულ მდგომარეობას და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს ტელე-

ფონის ბარაკდებთ გამოყენებას. დღეს კი მას ტელეფონის აღდგენა 1500 მ. უჯდება.

პეტერბურგის მუშათა დებუტატების მანიფესტის დაბეჭდვის გამო ახლათ დახურულ გაზეთების „ნახლო“-ს და „ნოვიაა ყიზნის“ მაგივრათ გამოვა „სვეერნი გოლოსი“, „რუს გაზეტას“, ნაცვლათ „ნაბატი“, „სვაბოდნი ნაროდ.“ ოსვაბ. რუს. მაგივრათ „მაღვა“.

გამოვიდა თფილისში „ЕЛИС. ЛИСТ.“, რომელიც მაშინვე დახურეს, მაგრამ მის მაგიერ იქვე გამოვა გაზეთი „Впередь“.

დეპეშები.

ოზურგეთი. 18 დეკემბერს მოხდა რევოლუციონური თვითმართველობის ამორჩევები საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით. ამოირჩიეს ოცი ხმოსანი და 10 მათი კანდიდატი. ყველა ესენი სოციალდემოკრატიებია.

ფოთი. გემების მიმოსვლა შეწყდა. გთხოვთ ნურავის გამოუშვებთ.

სოციალიზმის ისტორიიდან.

იყო ისეთი დრო, როდესაც საზოგადოებაში არავითარი კლასები არ არსებობდნენ და საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოადგენდა კომუნისტურ წყობილებას. ამგვარი პირველყოფილი კომუნიზმის დროს საზოგადოებაში არ არსებობდა არავითარი კერძო საკუთრება და არავითარი გარჩევა ადამიანთა შორის გარდა სქესისა და წლოვანებისა. ოჯახი იმ სახით, როგორც დღეს არის, არ იყო. ამგვარი კომუნიზმი ნელნელა დაირღვა; ჯერ გაჩნდა საკუთრება მოძრავ ქონებაზე, შემდეგ უძრავზე, უთანასწორობამ თავი იჩინა საზოგადოებაში, დროთა განმავლობაში ამგვარი უთანასწორობა ჩვეულებითა და კანონით განმტკიცდა და ამგვართ აღორძინდნენ სხვადასხვა კლასები, რომლებიც ერთი-ერთმანეთისაგან განირჩეოდნენ მდგომარეობით, ქონებითა და უფლებებით. სხვადასხვა კლასებს მისწრაფება და მიზანი სხვადასხვა აქვთ; მისწრაფებათა სხვადასხვაობა იწვევს კლასობრივ მტრობას, ანტაგონიზმს; კლასობრივი ანტაგონიზმი კი სათავეა კლასობრივი ბრძოლისა; მთელი ისტორია უზარმაზარი აღწერაა

კლასთა ბრძოლისა. მდიდრები ბატონობდნენ, ღარიბებს იმონებდნენ და ყველგდნენ; დამონებულნი და გაყვლეფილნი გაბატონებულებს ებრძოდნენ; დედამიწასისხლით იღებებოდა, მაგრამ ადამიანთა ტანჯვას ბოლო არ ეღებოდა, მცირე ნაწილი ავაზაკობისა ხალხს კისერწე აჯდა და სისხლსა წოვდა, უმრავლესობა კი ტანჯვისა და შევიწროების მძიმე ტვირთ ქვეშ ლევდა სულს. ადამიანის აზროვნება მუდამ უმთავრეს ყურადღებას აქცევდა ცხოვრების მოუწყობლობას და სხვადასხვა დროს თავს იჩენდა ხოლმე სხვადასხვა კომუნისტური მოძღვრება, რომელიც ამა თუ იმ ზომით ცდილობდა კლასთა შორის ანტაგონიზმის მოსპობას. ზოგნი, როგორც მაგალითათ ქრისტე საკმაოთ თვლიდნენ მოსახმარ ნივთიერებათა საზოგადო საკუთრებათ გადაქცევას, ზოგი მიწის თანასწორობათ განაწილებას, როგორც მაგალითათ ბაბეფი, ზოგი კი მიწის გასაზოგადოებრობას. ამგვარი განახლებული კომუნიზმის განსახორციელებლათ ზოგს საჭიროთ მიაჩნდა ბრძოლა, ზოგი კი ამტკიცებდა; ბრძოლა საჭირო არ არის; გადაება საკმარისია; ბატონები შეიგნებენ, რომ ისინი უსამართ-

ლობაში ცხოვრობენ და თითონ აიღებენ ხელს თავისი ნებით თავის ბატონობაზე. ისტორიულმა განვითარებამ არ გაამართლა არც ერთი მათგანის იმედები. კლასობრივი ანტაგონიზმი არა თუ არ ქრებოდა, ის უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ამგვარ პირობებში დაიბადა სოციალიზმი. რა არის სოციალიზმი? სოციალიზმი არის იმგვარი საზოგადოებრივი წყობები, საცა წარმოების საშუალებანი გასაზოგადოებულია და ამით კლასები და კლასთა ბრძოლა მოსპობილია; აქ ყველა თანასწორია, ყველა სრულწლოვანისა და სალი ადამიანისათვის სავალდებულოა შრომა და ყველა თანასწორათ ჯილდოვდება თავისი შრომისათვის. სოციალიზმი ეწოდება აგრეთვე იმ მოძღვრებას, რომლის მიზანიც არის აღნიშნული წყობილების განხორციელება. ვიდრე სოციალიზმის მოძღვრება აღნიშნულ გზას დაადგებოდა, მან განვლო არა მეცნიერული გზა, — ეს იყო უტოპიური სოციალიზმი, რომლის წარმომადგენლებიც არიან სენ სიმონი, ფურიე, ლუიბლანი და რობერტ ოუენი. რადგანაც უტოპიური სოციალიზმი არ წარმოადგენს ერთ შემუშავებულ მოძღვრებას, როგორც მეცნიერუ-

გლახი წინეთ და ახლა.

ხშირათ წარმომიდგება თვალწინ ის დრო, როდესაც რამდენისამე წლის წინე, სოფლათ გავივლიდი ხოლმე, ნახევრათ ჩამოფლეთილი გლახი წინ შემომხვდებოდა, — ახალუხის კალთებს წამოწევდა, ჩამოიფარებდა ტიტველ ტანზე და თან მოწიწებით შორიდან მორიდებულ სალამს მაძლევდა.

ვინ ვიყავ მე, რომ ეგრე მერიდებოდა?

— მისებრ მუშა, მისებრ ლატაკი, მაგრამ ქალაქელი, მასზე უფრო კარგათ ჩაცმულ-დახურული და უფრო კარგს პირობებში მყოფი.

მახსოვს ის დრო, როცა მღვდლის ხელს ეხვევოდა, მი განლოცვა-კურთხევას იღებდა და შესცქეროდა იმ იმედით, თითქო ღვთაება მოველინაო. ის იყო მისი იმედი, მისი სიტყვა კანონათ ქონდა მიღებული და ის ჩამოფლეთილი გლახი, რომელიც წინ ახალუხის კალთებს იფარებდა—ტიტველი მუხლები არ გამოიმჩნდესო,— იღებდა ათჯერ გამოკრულ ჩერიდან რამდენიმე ვერცხლს, სულიერ მამას აძლევდა და ეუბნებოდა — „უწირე, და ჩემი მკვდარი მიცხონეო“. ისიც არწმუნებდა საიქიოს გასაღებს ჩავაბარებო.

მახსოვს ის დრო, როდესაც პო-

ლიციის ბოქაული და მისი დამქაში მუქთახორა მხლებლები, სოფლიდან-სოფლათ დაწინწალობდენ.— მუქთა ცხენი, მუქთა სწაქამა, მუქთა ქვიფი და კიდევ ზედ ქრთამებს ჯიბეში იჩხრიალებდენ.

მახსოვს ის დრო, როდესაც სოფლის მოხელე, ეს ძველი დიამბეგი, დახეულ ფარდას გამოაცლიდა ავათ-მყოფს ლოგინიდან და სახელმწიფო მღვდლის დრამისთვის გაუყიდა.

მახსოვს ის დრო, როდესაც ჩარჩბაცაყები თუმანში მანეთს თვიურ სარგებელს ახდევინებდენ ლატაკ გლახს და წლითი-წლობამდე სარგებელში ამუშავებდენ, და მერმე კიდევ თავნთი სულს ამოწვდიდენ და თავის მარჩენელ ნიშა ხარს გაუყიდდენ.

მახსოვს ის დრო, როდესაც ვინმე დიდ-გვარი ანუ მემკვიდრე ჩამოვილიდა, ჩირაღდებს დაუნთებდენ, ილუმინაციას გაუმართავდენ, მთელი კვირაობით გზას ყარაულობდენ და ქალი და კაცი მისი მხოლოდ მატარებლს სანახავათ მიემშურებოდა, ურასა და ვაშს ძახილით გააცილებდენ.

და ყველა ამის შემხედვარი,— გული კედებოდა და ეგ მონა ხალხის ყოფა მეზიზღებოდა.

დღეს კი რას ვხედავ?!... გუშინდელი ეს მონა გლახი, უცებ წელში გაიმართა, თავს რომ შორიდან

მოწიწებით მიკრავდა, დღეს მან მიცხონა მისებრ მუშა, — მუშა მებრძოლი, ხელი-ხელს მომცა და შეუდგა ჩემთან ერთათ ამ მონობის ბორკილის მსხვერვის. ის ტიტველ ტანს კი აღარ მალავს: პირიქით აჩენს და გაიძახის, — „აი ეს მიყო დღევანდელმა წესწყო-ბილებამ“. — გუშინ თუ მღვდელს — სულიერ მოძღვარს სისხლით და ოფლით ნაშოვნ ოქროს შიწოდებდა და თითონ კი მშიერ-მწყურვალი იყო, დღეს ეუბნება: „გასწი, გამ-შორდი იუდას კერძო, ისიც გეყოფა რაც მატყუე, მესაუბრე საიქიოზე და მით სისხლი და ოფლი ძარღვებიდან სულ ამომწოვე. გასწი გამ-შორდი შე ქოფაქო, გაუმძღარო.“ ისიც მიღის, მიღის ცხვირჩამოშვებული და უცხვირისღუმით სქელი მუცელი თანდათან უწვრილდება.

გუშინ თუ პოლიციის ბოქაული სოფლათ მინავარდობდა, დღეს კაცს გზავნის და იმ დაწეწილ გლახს ეხვევება: „შენი ჭირიმიე სოფლათ შემოგვიშვი გზათ გავიაროვო“. ისიც ეუბნება ჭკუით იყავი არ მიკბინო შე ძველო ძაღლო, თორემ თოფით ჩიგვში ვზივარ — მოგკლავ და აქვე აყროლდებო.“

სად არის გუშინდელი მამასახლისი, რომელიც გამხდარ-გაყვითლებული ამოირჩია სოფელმა და ქვრივობის წიწილებით გაუსუქდა კისერი და ვარდივით გაუხთა ლოყები?! —

— საუკუნო განსვენება მას...  
სად არის ის მეფეწვე, რომელიც ასე დიდ საჩუკებელს იღებდა? დღეს მას უთვლის სოფლის დემოკრატიული ბიურო: „ამდენი და ამდენი შემოიტანე განმანთავისუფლებელ ბრძოლის კასაში, იარაღი უნდა შევიძინოთ მტარვალთა წინააღმდეგ საბრძოლველათ და თქვენისთანების დასახრჩობათ დასამთლული ბაწრები უნდა შეუკვეთოთო.“ ისიც იხდის, იხდის ცხვირჩამოქინდრული, სტირის, ძიგძიგებს შიშისაგან და თან გაიძახის: „მეც თქვენი ვარ, ხომ გახსოვს რა სიკეთეს გიშვებოდი როცა ფულს გასესხებდი და ხელს გიმართავდიო“.

სად არის ის ილუმინაციები, რომელსაც ისე სიხარულით აკეთებდა გუშინდელი ჩამოფლეთილი გლახი? ვის უძახიან დღეს იმ ურას, რომელსაც დიდ გვარეულობას უძღვნიდენ? ვინ მიჩნია დღეს მას თავის მხსნელ ნუგეშათ, თავის მფარველათ, სააქაოთ და საიქიოთ?

არა ის მღვდელი, რომელიც მას ნანას ეუბნებოდა და სულ მუდამ ძიღს და მონობა-მორჩილებას ჩასჩიჩნებდა.

არა ის პოლიციელი, რომელიც მას ჰპყვიანდა პაგონებით თვალებს უბრმავებდა და თავის ფეხის ბაკუნით ვითომდა თვის ძლიერებას აჩვენებდა.

არა ის მეფაწვე და ვითომ კეთილისმყოფელი მიჩნია მას თავის მეგო-

ლი სოციალიზმი, ამიტომ მის გამოსარკვევათ საჭიროა, რომ ისევ მის თეორეტიკოსებს მივმართოთ. გრაფი სენ სიმონი დაიბადა 1760 წელს. ის მეტათ ნიჭიერი და მასთან უსაზღვრო ოცნებების კაცი იყო. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს მან პირველმა უარი განაცხადა თავის გრაფობაზე და თავისი ნებით გახდა უბრალო მოქალაქეთ, მას შემდეგ სენ სიმონი შეუდგა მწერლობას და რამოდენიმე ვრცელ თხზულებებში გამოთქვა თავისი სოციალიზმი. სენ სიმონი აღიარებს საზოგადოებაში სრულ თანანასწორობას და აცხადებს: საზოგადოებრივი წყობილება აგებული უნდა იყოს მხოლოდ შრომაზეო. ყოველგვარი რენტაერები, რომლებიც უშრომლათ ცხოვრობენ, უნდა მოისპონ. „წარმოიდგინეთ, რომ საფრანგეთმა ერთბაშათ დაკარგა ყველა თავისი მეცნიერი, ხელოვნების მახურნი და მშრომელი ნაწილი, სწერს ის ერთ თავის თხზულებებაში; რა მოყვება ამას შედეგათ? ის რომ, საფრანგეთი დაკარგავს თავის სულს და კულტურულათ მოკვდება. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ერთბაშათ დაიხოცენ ყველა მოხელენი, მინისტრები, ეპისკოპოსები, პრინცები. რა

შედეგი მოყვება ამას? გულკეთილი ფრანკუზები შეწუხდებიან, მაგრამ დაკარგვით ისინი არაფერს დაკარგავენ, რადგანაც დახოცილების ალაგს მალე დაიჭერენ სხვები“. აქედან თავის თავათ ცხადია, რომ სენ სიმონი ტოვებდა მომავალი წყობილებისათვის მხოლოდ მეცნიერებას და შრომას. სახელმწიფო აგებული უნდა იყოს სავალდებულო შრომაზე. სავალდებულო შრომა წინ უნდა უძღოდეს მეცნიერულ წარმოებას. სამხედრო წოდება უნდა გაუქმდეს მთელი ყურადღება მართველობისა მიქცეული უნდა იყოს შრომისა და პიროვნების განვითარებაზე. რადგანაც შრომასა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობაა, ამიტომ მთავრობა უნდა შეუერთდეს მუშებს შრომის განსათავისუფლებლათ და მომავალი სოციალისტური წყობილების დასამყარებლათ. აი მოკლეთ სენ სიმონის მოძღვრება. უტოპიური იმითია ეს მოძღვრება, რომ ის ერთის მხრით სახეში არ იღებს თანამედროვე წყობილებას და ამ უკანასკნელის ლოდიკურ და აუცილებელი განვითარების შედეგათ არ გამოყავს მომავალი სოციალიზმი; მეორეს მხრით ამ სოციალიზმის განსახორციელებლათ ის არ უჩვენებს არავითარ

რეალურ ძალას, რეალურ გზას და იმედი აქვს: რადგანაც სახელმწიფო შრომაზე უნდა აიგოს, ამიტომ მთავრობა და მუშები კავშირს შეკრამენ, ასოციაციებს დაამწესებენ და ამით განხორციელდება საუკეთესო წყობილებაო.

ფურიე იყო სენ სიმონის თანამედროვე და თანამემამულე. ის მტერი იყო არსებული წყობილების და სენ სიმონის ცდილობდა საზოგადოების გარდაქმნას. ადამიანი მიისწრაფის ფურიეს აზრით ბედნიერებისაკენ; ბედნიერება კი ნაყოფია შრომისა; შრომა რომ საყოველთაო გახდეს საჭიროა, რომ თვით შრომა ნეტარებას, ბედნიერებას წარმოადგენდეს, ამისათვის კი საჭიროა, რომ ყოველმა ადამიანმა მხოლოდ შრომას მოკიდოს ხელი, რომელიც მას ბუნებით მოსწონს, უყვარს. ამგვარ პირობებში ორგვარი სარგებლობა დაიბადება; პირველის ის, რომ როდესაც ადამიანი მხოლოდ იმ საქმეს დაადგება, რომელიც მას უყვარს, მისი შრომა უფრო ნაყოფიერი იქნება; მეორე ის, რომ ერთგვარი შრომის მიმდევარნი შეერთდებიან ასოციაციებათ და ამით შრომა ერთი ორათ, ერთი სამათ მეტ ნაყოფს გამოიღებს. შრომის ამგვარ ნი-

ადაგზე დაყენებით საზოგადოების მწარმოებელი ძალა ძალიან გაიზრდება და აუარებელი სიმდიდრე დაგროვდება, რის გამოც ყველას თავზე საყრელათ გაწვდება ყოველისფერი. ყველას ექნება საუცხოვო სადგომები, საუცხოვო საქმელები და საუკეთესო სასმელები. ადამიანი თანდათან გაუმჯობესდება ამგვარ ცხოვრებაში, — სიმალლით ის სამ არშინს მიღწევს და ას ორმოც წლამდე იცოცხლებსო. საზოგადოება დაიყოფება ფალანსტერებათ. თითოეული ფალანსტერი წარმოადგენს საუცხოვო შენობას, სადაც თავისუფლათ ეტევა 1800 კაცი. ფალანსტერში გამეფებული იქნება წესიერება, თავისუფლება და სამართლიანობა, კაპიტალის, შრომისა და ნიჭის ნაყოფი საზოგადო საქუთრება იქნება იმ პირობით, რომ 5/12 შემოსავლისას მიიღებენ მუშები, 4/12 კაპიტალისტები და 3/12 გონებრივი შრომის წარმომადგენელნი. რადგანაც ყველა ადამიანი ბედნიერებისაკენ მიისწრაფიან, ამიტომ ამგვარი წყობილება საზოგადოებაში ფურიეს აზრით სულ ადვილათ განხორციელდება, მხოლოდ საკმარისია პირველი მაგალითი, პირველი პალანსტერი. რომ იკისროს რომელიმე მილიონერმა

ბრად, არამედ ის, ვინც მასავით უბრალო ჩითში გამოწყობილი გვერდში უდგება, ხელს აძლევს და მეგობრულათ მას ეუბნება: „მე ვარ მუშა, მუშა ქალაქის, შეგნებული გამოწრთენილი, შენებრ ტანჯული, შენებრ წყლული მეც გულს მიწამლავს. მომეცი ხელი და გამომეც ბრძოლაში ჩემთან. შორს ჩვენგან მღვდელი, ეგ მატყუარა და ცრუ, მლიქვნელი; შორს ჩვენგან ყველა პოლიცია, ჟანდარმ-ჯაშუში. — ხელში იარაღი, გულში იმედი მომავლისადმი, მკლავში ძალა, გამბედავი იერიში მტერზე. — ეს დაისახე პირველ მცნებათ და იმის ნაცვლათ რომ ჩირაღდანი დაუნთო გზაზე, — იქვე გადუჯექ და თოფის ქექა მიეც მტარვალს ურას მაგიერ...“

აღ. კახტაიძე

ახალი ხანა ქუთაისის სამეურნეო სკოლაში.

17 დეკემბერს ქუთაისის საურთიერ-ობაზე კრება მოხდა ადგილობრივ სამეურნეო განყოფილებისა, რომელიც საამისათ გამოიწვია ქუთაისის სსმეურნეო სკოლის ყოვლათ აწეწილ-დაწეწილმა საქმეებმა. ამ სკოლის საქმეების არგვ-დარევა კი დაამთავრა

ერთი ფალანსტერის დაარსება და შიგ მოაწყოს შრომა ასო-ცაიციისა და ბუნებრივი მისწრაფების ნიადაგზე, მაშინ კაცობრიობა მალე დარწმუნდება ფალანსტერის დიად სარგებლობაში და ყველა ფალანსტერებში შეერთდებიან; კაცობრიობა დაიყოფა ექვსასი ათას ფალანსტერებათ; და ექნება ერთი ენა — ფრანგული. ფალანსტერების სათავეში იქნება მეფე რომლის სატანტო ქალაქიც უნდა იყოს კონსტანტინოპოლი. ფურიემ გამოაქვეყნა თავისი სოციალიზმი და მოისვენა. ის დარწმუნებული იყო, რომ მალე მას კარს მოადგებოდა რომელიმე მილიონერი და პირველ ფალანსტერს აუშენებდა. ყოველ დღე თორმეტი საათიდან პირველ საათამდე ის თავის ოთახში იჯდა და უცდიდა მილიონერს. ასე უცადა მთელი ათი წელიწადი მილიონერებს ფურიემ. მილიონერები კი მუშა ხალხის ყვლეფით მილიონებს ამრავლებდნენ, ფურიეს კი სასაცილოთ იგდებდნენ და სულელათ თვლიდნენ.

აგ. გამარტაძე.

(შემდეგი იქნება).



უკანასკნელმა მისმა მართველმა ლუბენეცკიმ, რომლის ადგილი სკოლა როდი იყო, არამედ სატრაქტირო დაწესებულება რომელიმე მიყრუებულ ქალაქის მიყრუებულ ქუჩაში. მისი საგმირო საქმეები მეტათ აშკარათაა გამორკვეული ამა სკოლის მზრუნველის დ. ბაქრაძის და სარგევიზიო კომისიის მოხსენებებში, რომლიდანაც ნათლათ ჩანს რაგვარი პატრონ-პატრონობა გაუწევია ამ ნაძალადეგ მოხელეს ამ 3-4 უკანასკნელი წლების განმავლობაში ხენებულის სკოლისათვის.

როგორც მოხსენებებში და კრებებზედაც აიხსნა მისი უეკონომიო ხარჯვის გამო და ასე გასინჯეთ, როგორც მოხსენებებშიაც სჩანს, სკოლის ფულების სხვადასხვა სახის მითვისებით, სკოლას 10,000 მანვალი დასდებია. მევალეებს ჰევრს „ლისტებიც“ კი აუღია და სკოლას ემუქრებინ და ბევრისაგან სკოლის ახლანდელ გამგეობას თავი აქვს მობეზრებული, ფულები მოგვეცოთ ნა, ხარჯიო. და აი ამ მდგომარეობაში ეს ბიუროკრატიული წესრიგით სამინისტროსაგან დანიშნული მოხელე ლუბენეცკი ამ ორი თვის წინეთ კიდევ გაიპარა ქუთაისიდან და ღღეს მისი არც ასავალი იცის კაცმა და არც დასავალი.

ამასთან ღვთის ანაბარათ მიტოვებულ სამეურნეო სკოლას, რომელიც ქალაქის და სახაზინო მიწაზე არის გაშენებული, გარშემო მცხოვრებლები შამოსევიან და მის შემოფარგულ ადგილებს ითვისებენ და და ესახლებიან შიგ. საკვირველია სწორეთ, რაღა სკოლას შემოესიენ ეს დალოცვილები, როცა სკოლის მახლობლათ მის გარეშემო ბევრი სხვა სახელმწიფო ადგილებიცაა, თუ კი რევოლიუციონური მომენტით სარგებლობა უნდათ!..

ერთი სიტყვით, კრებაზე ნათლათ გამოიკვია, რომ სამეურნეო სკოლა, მისა წინანდელი ადმინისტრატორების წყალობით აოხრებული და განდაურებული და ღღეს იგი ყოვლათ უსახსრობასთან ერთათ, უბატრონობაცაა დაიჩინილი. სკოლა დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანაო, ამტკიცებდნენ 17 დეკ. კრებაზე ერთნი (მაგალითათ ნ. მკურნალი) მისმა მახლობელმა მზრუნველ-პატრონმა სამეურნეო განყოფილებამ, რემელიც საქმით არავითარ დახმარებას მას არ უწევდა. მართველები სამინისტროსაგან ინიშნებოდა, მათ ჩვენი მეურნეობა არ იცოდნენ და არც გული შეატკიოდათ მისთვის გარდა თავის ჯამაგირების აღებისა. მეორენი კი (მაგ. ვ. ბურჯანაძე და სხვ.) ამტკიცებდნენ, რომ ყოველივე ბოროტება სკოლის ადმინისტრაციაშია, მათ აურ-დაურევიათ მისი საქმეები, ისინი ერთმანეთში

ვერ მორიგებულან სოლიდარულათ ვერ უმოქმედნიათ, და ამის გამო მათ როგორც საზოგადოების, ისე შეგირდების პატივისცემა ვერ დაუმსახურებიათ. ისინი ერთმანეთ შორის ცხვარი და მგლებივით ყოფილან და ამიტომ ვერც ერთ მათგანს ვერავითარი კვალი ვერ დაუჩენიათ სკოლის კეთილდღეობაზე. რასაც ერთნი, უფრო გულსმოდგინეთ მშრომელნი აკეთებდნენ, იმას მეორენი, ინტრიგების მოყვარულნი შურით და თავიანთი უფიცობით არღვევდნენ.

ამგვარ მდგომარეობაში იყო ეს 12 წელიწადია ხენებული სკოლა. ხოლო ღღეს, ამ გარდამავალ ხანაში სკოლის ახლანდელმა შეგირდებმა გადაწყვიტეს, რომ ამ მდგომარეობაში სკოლა ვერ იარსებებს და საჭიროა მისი რეორგანიზაცია, ახალ ნიადაგზე დაყენება. აი ამ მიზნით მათ მოითხოვეს გუბერნატორის სტაროსელსკისაგან, რომ დაენიშნა კრება ახალი მართველის ამორჩევის და სხვა საქმეების მოწესრიგების შესახებ.

მხველ-მთესველი გუბერნატორიც გულდაგულ მოეკილა ამ თავის სასვეცალო საქმეს და დაუყოვნებლივ მოიწვია სამეურნეო განყოფილების კრება, რომელზედაც 17 დეკ. ძველი წევრებიდან, მიუხედავათ მათი ახლანდელი უსაქმობისა, 4-5 კაცის მეტი არ მოვიდა. სამაგიეროთ ეს კრება დიდათ საინტერესო შეიქნა; მას დიდძალი ხალხი დაესწრო. 48 ახალი წევრი ჩაეწერა და საინტერესო კამათი გაიმართა სკოლის ბედ-ილბლის გადაწყვეტის შესახებ, რაშიაც თვით სტაროსელსკი გამოცდილ რჩებეს აწვდიდა საზოგადოებას.

ზოგი (მაგ. პ. გოთუა) სკოლის კეთილდღეობის აღსადგენათ ურჩევდა კრებას ძირითად რეფორმების მოხდენას და არა წვრილმანების მსხვერველს სკოლის ორგანიზაციაში, როგორც, მაგალითათ, მართველის გამოცვლა. მხოლოდ სანამ ეს მოხდებოდეს, დაუმატა კ. ჩხეიძემ ცოტადენი ცვლილება ახლა უნდა მოვადინოთ, რომ სკოლა სულ არ დაიკეტოს და შეგირდები ამ საინტერესო დროს სოფლათ არ გაიბნენ და ცხოვრებას არ ჩამორჩენ, რადგან მათი ყოფნა ქალაქათ უფრო სასარგებლოა ღღეს ღღეობით ამისათვისო დაუმატა ამას ს. რობაქიძემ და კ. სულაქველიძემ საჭიროა ამ რევოლიუციონურ მომენტში, რევოლუციონური საშვალეობა ვიხმაროთ და ამ გზით ავირჩიოთ ახალი მართველი, მიუ უფრო, რომ ამის მსურველნი არიან თვით შეგირდები, რომელთაც სასურველი და მათი შესაფერისი კანდიდატი უკვე ყავთ და მათი სურვილი უნდა დავაკმაყოფილოთ. ამაზე მოლაპარაკ

რაკეთ თავმჯდომარემ ღიმილით შენიშნა: მართლათ თქვენ როგორც რევოლიუციონერები რევოლიუციონურ საშვალეებზე არჩევთ, მაგრამ მე კი კონსტიტუციონურ გზაზე მიგითითებდი და გირჩევდით მართველის ამორჩევა ერთი ან ორი დღით გადაგვედვა, რომ ძველ წევრებსაც მიეღო მონაწილეობა. კრებამ დაჟინებით მოითხოვა მართველის ახლავე არჩევა, რადგან სკოლა უბატრონობათა, შეგირდებიც სოფლათ წასვლას აპირებენ და უნდა იცოდნენ ჩამოსვლის იმედი ექნებათ თუ არა. ძველები თუ არ მოდიან, ეს მათი ჩვეულება და უმოქმედობის ნიშნია და ამიტომ მათი ყურება საჭირო არ არის, მით უფრო, რომ ყველამ იცოდა, რომ ღღეს მართველის არჩევა იქნებოდა.

თავმჯდომარე დაემორჩილა კრების მოთხოვნას და მოახდინა ფარული კენჭის ყრით მართველის ამორჩევა. დაასახელეს ამავე სკოლაში ნამსახური სპეცისლისტი მელვინე ალექსანდრე შარაშიძე, რომელიც კრებამ ერთხმით აირჩია.

შემდეგ ამორჩიეს კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს 15 იანვრამდე სკოლისათვის ახალი პროგრამა. ამ დროსვე უნდა მოხდეს მასწავლებლების არჩევაც და სკოლაში უნდა დაიწყოს მეცადინობა.

ამავე კრებაზე დროებითმა მართველმა ნ. მკურნალმა შეგირდებისაგან შეურაცყოფილათ დაინახა თავი და გამოიწვია ისინი სასამართლოში.

ისა.

ბრედცოლ - გამომცემელი ბ. ლორთქიფანიძე.

განცხადება.

შურნალ-გაზეთების ხელის-მოწეფითა — საშურალდემოთ

შურნალ-გაზეთების კანტორა

„**კოლხიდა**“ — ში, რომელიც დაარსებულია იმ მიზნით, რომ გაუადვილოს მკითხველებს შურნალ-გაზეთების გამოწერა მთელ გუბერნიში, ვიღებ ხელის მოწერას როგორც თფილისის, ისე სატანტო ქალაქების გამოცემებზე. ხელის მოწერნი რედაქციებში ფულის გასაგზავნს აღარ იხდიან. კანტორა აწარმოებს აგრეთვე გაზეთების გაყიდვის საქმეს, როგორც კანტორაში, ისე გამყიდველების საშვალეობით ქუჩებში ყველანაირი გაზეთები იყიდება იმ ფასებში, რაც ზედ არის აღნიშნული.

ისიდორე კვიციანიძე.